სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის თასი

უკეთ ითამაშეს

16 ივნისს თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონზე შედგა სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის თასის მატჩი. თბილისის დინამოელებმა ბაქოს „ნეფთჩის“ მეორე წრეშიც შინ უმასპინძლეს.

ახლა, როცა უმაღლესი ლიგის გუნდები საკავშირო ჩემპიონატის მატჩებისთვის ემზადებიან, საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ თბილისის „დინამომ“ ბაქოს „ნეფთჩისთან“ გაცილებით უფრო უკეთ ითამაშა, ვიდრე წინა შეხვედრებში. ბაქოელთა რიგებში ძირითადი შემადგენლობის რამდენიმე მოთამაშე გამოდიოდა (აზიმოვი, მირზოევი, ჯავადოვი, პანჩიკი, აბუშევი და სხვანი), მაგრამ თბილისელთა რიგებშიც გარკვეული ცვლილებები მოხდა, კერძოდ, ლანჩხუთის „გურიიდან“ კვლავ უკან დააბრუნეს გ. ცაავა. მასპინძლები ამჯერად უფრო მობილიზებულნი იყვნენ, აქტიურად მოქმედებდნენ მთელ მინდორზე. ბევრს მოძრაობდნენ. იმატა კომბინაციებმა და შორეულმა გადაცემებმა. შეტევას მეტი სიმწვავე მიეცა, ხოლო დაცვაში ნაკლები იყო შეცდომები.

ყველაფერმა ამან პირდაპირი ასახვა ჰპოვა როგორც უშუალოდ თამაშის მსვლელობაში, ისე საბოლოო ანგარიშშიც. 4:0 - გაიმარჯვეს დინამოელებმა.

ანგარიში 42-ე წუთზე გახსნა ცაავამ. შესვენების შემდეგ დინამოელები კიდევ უფრო სწრაფად, ტემპიანად თამაშობდნენ. გ. ჯიშკარიანმა, კორღალიძემ და ქეცბაიამ კიდევ 3 ბურთი გაიტანეს „ნეფთჩის“ კარში.

თბილისის „დინამომ“ ასეთი შემადგენლობით ითამაშა: გაბელია, ფირცხალავა, თარბა, ჭედია, გ. ჯიშკარიანი (კორღალიძე), ტყეებუჩავა, რევიშვილი, ცვეიბა, ქეცბაია, გურული (ფანცულაია), ცაავა (მესხი). იმსაჯა თ. ლაცაბიძემ (თბილისი).

ლელო 18.06.1988